საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალევის ქედი

ალევის ქედი, ლ ო მ ი ს - ა ლ ე ვ ი ს ქ ე დ ი , კავკასიონის სამხრ. შტო.

არხის ქედით უერთდება მთავარი ქედის ტოტს – ხარულის ქედს. ა. ქ. მდ-ების ქსნისა და არაგვის წყალგამყოფია. იწყება მექეთის მწვერვალთან, რ-იც ქედის უმაღლესი წერტილია (2937 მ). ქედზე აღმართულია მწვერვალები: შელი, მუნჯუხე, ყურყუტა, ლომისი და სხვ. სამხრ-ით ბოლოვდება ლორწომის კლდის (ალევის კლდის) მასივით. მაღლა ქედზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია, ქვემოთ – ფართოფოთლოვანი ტყეები.

ლ. მარუაშვილი